

2009 .

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის

2009 წლის შინაგნური ანგარიშგების აუდიტი

შპს „აუდიტ-ექსტრა“

აუდიტორული დასკვნა

№6/12-1

23 აპრილი 2010 წელი



აუდიტორული დასკვნა №6/12-1
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2009 წელს
გაწეული საფინანსო საქმიანობის შესახებ

აუდიტორული ფირმა შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს აუდიტორმა ს.ზარქუამ (სერთიფიკატი №5/152 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ.ქარდავას 2009 წლის 26 მარტის №190 მომართვისა და დადებული ხელშეკრულების №68-იხ შესაბამისად მოახდინე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

შემოწმება ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი საფინანსო დოკუმენტაციებზე დაყრდნობით, რომელთა სისწორეზე პასუხისმგებელია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“, „საქართველოს კანონების, საქართველოს საგადასახადო, საბაჟო და სამოქალაქო კოდექსების, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად“ 2009 წლის 5 თებერვალს №3 დადგენილებით (იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გატარდა 12 თებერვალს) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 3526.4 ათ.ლარის ოდენობით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა 1906 ათ.ლარით, სხვა შემოსავლების 183 ათ.ლარით. არაფინანსური აქტივების კლება 50 ათ.ლარი ფინანსური აქტივების კლება 44 ათ.ლარით.

შემოსავლების ნაწილში საგადასახადო შემოსავლები დაიგეგმა შემდეგნაირად, საქართველოს საწარმოთა ქონებაზე გადასახადის გეგმა 1800 ათ.ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე 6 ათ.ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 80 ათ.ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 20 ათ.ლარი. სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მისაღები ტრანსფერი დაიგეგმა 1343.4 ათ.ლარი, მათ შორის: გამოთანაბრებითი ტრანსფერი 861 ათ.ლარი, მიზნობრივი ტრანსფერის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 200 ათ.ლარი, სპეციალური ტრანსფერის 282.4 ათ.ლარი. სხვა შემოსავლების დაგეგმილი 183 ათ.ლარიდან, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის 125 ათ.ლარი, შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში გადაცემიდან 20 ათ.ლარი, ჯარიმებისა და სანქციებიდან შემოსავლები დაიგეგმა 25 ათ.ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახდელები (ხარჯები) დაიგეგმა 3526.4 ათ.ლარის ოდენობით მათ შორის შრომის ანაზღაურება 976.7 ათ.ლარი

აქონებისა და მომსახურების გეგმა 385.7 ათ.ლარი, სუბსიდიების 1198.9 ათ.ლარი, სოც.უზრუნველყოფის 244 ათ.ლარი, სხვა ხარჯების 12 ათ.ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის 737.6 ათ.ლარი.

აღნიშნულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 4-ჯერ იქნა ცვლილებები შეტანილი, კერძოდ: 30 აპრილის №9 დადგენილებით (იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გატარდა 6 მაისს) ცვლილება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ადგილობრივ ბიუჯეტს გადმოეცა 104 ათ.ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 თებერვლის №75 განკარგულებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ადგილობრივ ბიუჯეტს გამოეყო 14 ათ.ლარი. აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2009 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში დაადგინა 3644.4 ათ.ლარი, დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გეგმა გაიზარდა 118 ათ.ლარით. შესაბამისად ბიუჯეტის გადასახდელების (ხარჯების), ნაწილი განისაზღვრა 3644.4 ათ.ლარით. მათ შორის: მუხლობრივად შრომის ანაზღაურების ხარჯები განისაზღვრა 926.2 ათ.ლარით, რაც ასევე დამტკიცებულ ბიუჯეტით იყო განსაზღვრული. ასევე დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისობაშია სოც.უზრუნველყოფის ხარჯების გეგმა 244 ათ.ლარი (რატომღაც ცვლილებებია შეტანილ დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლობრივ ხარჯვაში, კერძოდ: სუბსიდიების მუხლებს დაემატა 18.5 ათ.ლარი და შეადგინა 1217.4, არაფინანსური აქტივების აქტივებმა შეადგინა 97. ათ.ლარი დასაბოლოოდ დამტკიცდა 834.6 ათ.ლარი.

შემდგომი ცვლილება ბიუჯეტში შევიდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 ივლისის № 15 დადგენილებით (იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გატარდა 12 აგვისტოს) ცვლილება გამოწვეული იქნა იმ გარემოებით, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №347 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგილობრივ ბიუჯეტს მეურნეობის სკოლის რეაბილიტაციისათვის გამოეყო 200000 ლარი. შესაბამისად ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი განისაზღვრა 3844.4 ათ.ლარით, რაც დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით მეტია 318 ათ.ლარით, ხოლო დაზუსტებულთან შედარებით 200 ათ.ლარით.

შესაბამისად ხარჯები განისაზღვრა 3844.4 ათ.ლარით.

ზღვაიას სკოლის რემონტის სამუშაოებზე გამოცხადდა ფასთა კოტირება, რომელშიც გაიმარჯვა შ.პ.ს „მშენებელი XXI“ რემონტის სამუშაოთა ღირებულება შეადგენდა 158243 ლარს. პროექტის ღირებულება კი 4807 ლარს. დარჩენილი თანხა 36950 ლარი გადანაწილდა 5 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №591 განკარგულებით ცვლილება იქნა შეტანილი მთავრობის 8 მაისის № 347 განკარგულებაში და დარჩენილი თანხა 36950 ლარი მიმართულ იქნა, სოფ.მიქაგას, სოფ.ეწერის, სოფ.ჩქვალერის, სოფ.ოჭანეს, სოფ.ნანჯარუს საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 5 თებერვალის №3 დადგენილებაში შემდგომი ცვლილება შევიდა 2009 წლის 30 სექტემბრის 17 დადგენილებით. ცვლილება გამოწვეულ იქნა იმ გარემოებით რომ 2009 წლის 24 ივლისის მთავრობის №545 განკარგულების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ წალენჯიხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 40.5 ათ.ლარი, ასევე მთავრობის 21 აგვისტოს №625 განკარგულებით სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების დაფინანსების მიზნით ქ.ჯვარის ჭაგჭაგაძეს, კოსტავას,

ლემონჯავას, სარალიძეს, ქანთარიას, სტალინის, რუსთაველის, გაბუნიასა და სტალინის ქუჩიდან ბაზრამდე მისასვლელი ქუჩების და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციისათვის 304.6 ათ.ლარი. შ.პ.ს. ენგურჰესიდან წინა წლების რესტრუქტურირებული ქონების გადასახადი 1932.5 ათ.ლარი. (შ.პ.ს »ენგურჰეს« -ზე 2006 წელს რესტრუქტურირებულ იქნა 4647532.76 ლარი ქონების გადასახადის ძირითადი თანხა, რომელიც თავის დროზე ეკუთვნოდა წალენჯიხისა და გალის რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებს) გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2009 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 6122 ათ.ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადების გეგმა განისაზღვრა 3818.5 ათ.ლარით, რაც დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2615.6 ათ.ლარით მეტია. გრანტების გეგმა განისაზღვრა 2006.5 ათ.ლარით, რაც დამტკიცებულთან შედარებით 663.1 ათ.ლარით მეტია. სხვა შემოსავლები განისაზღვრა 223 ათ.ლარით, რაც დამტკიცებულზე 40 ათ.ლარით მეტია.

შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების (ხარჯვის) ნაწილი განისაზღვრა 6122 ათ.ლარით, რაც დამტკიცებულთან შედარებით 2595.6 ათ.ლარით მეტია. შრომის ანაზღაურების ხარჯები გაიზარდა 936.8 ათ.ლარი, საქონელი დამომსახურების ხარჯები განისაზღვრა 422.1 ათ.ლარი, რაც დამტკიცებულთან შედარებით 36.4 ათ.ლარით მეტია. სუბსიდიების ხარჯების გეგმა გაიზარდა 114.8 ათ.ლარით (დაზუსტებული 1338.7 ათ.ლარი, დამტკიცებული 1223.9 ათ.ლარი) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 3149.4 ათ.ლარით, რაც დამტკიცებულთან (712.6 ათ.ლარით შედარებით გაზრდილია 2436.8 ათ.ლარით. სოც. უზრუნველყოფის ხარჯების გეგმა დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 13.5 ათ.ლარით (დამტკიცებული 244 ათ.ლარი, დაზუსტებული 257.5 ათ.ლარი), სხვა ხარჯების გეგმა შემცირდა 16.5 ათ.ლარით (დაზუსტებული 17.5 ათ.ლარი, დამტკიცებული 34 ათ.ლარი).

ბოლო ცვლილება ბიუჯეტში შევიდა 2009 წლის 31 დეკემბრის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის №781 ბრძანებით. ცვლილება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ბიუჯეტის შესრულების პროცესში შემოსავლების ცალკეულ მუხლებში მიღებულ იქნა დაგეგმილზე ნაკლები თანხები, რის გამოც შემოსულობების გეგმა ვერ შესრულდა 286.8 ათ.ლარით (დაზუსტებული გეგმის 4.7%)

ამავე დროს ენგურჰესის რესტრუქტურირებული ქონების გადასახადი 970 ათ.ლარი ოდენობით გადმოირიცხა მხოლოდ წლის ბოლოს, (შ.პ.ს »ენგურჰესიდან« 2009 წელს თანხები მიღებულ იქნა 10 აგვისტოს 486681 ლარი, 23 სექტემბერს 485000 ლარი და 18 დეკემბერს 970000 ლარი) რის გამოც 2009 წელს დაგეგმილი ცალკეული სამუშაოების, კერძოდ მედანიისა და ლიის თემის საჯარო სკოლების შენობების რემონტის დაწყება ვერ მოხერხდა. შესაბამისად ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები) გაწეულ იქნა დაგეგმილზე 596.9 ათ.ლარით ნაკლები (დაზუსტებული გადასახდელების 9.75 %) ნაკლები.

შესაბამისად დამტკიცდა ბიუჯეტის შემოსულობები 5835.2 ათ.ლარი და ხარჯები 5525.1 ათ.ლარი. გარდამავალი ნაშთი განისაზღვრა 310.1 ათ.ლარის ოდენობით.

2009 წლის დაზუსტებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 100 %-ით, (დამტკიცებული 3526.4 ათ.ლარი, დაზუსტებული 5788.1 ათ.ლარი, საკასო შესრულება 5788.1 ათ.ლარი), აქედან: საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 100 %-ით (დამტკიცებული 3432.4 ათ.ლარი, დაზუსტებული 5788.1 ათ.ლარი, საკასო შესრულება 5788.1 ათ.ლარი.) მათ შორის: ქონების გადასახადის 100%-ით (დამტკიცებული 1906 ათ.ლარი, დაზუსტებული 3569 ათ.ლარი, საკასო შესრულება 3569 ათ.ლარი) აქედან: საწარმოოა ქონების

გადასახადი 100 %-ით (დამტკიცებული 1800 ათ.ლარი; დაზუსტებული 3473.1 ათ.ლარი, საკასო შესრულება 3473.1 ათ.ლარი), ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა 100%-ით (დამტკიცებული 6 ათ.ლარი, დაზუსტებული 9 ათ.ლარი, საკასო შესრულება 9 ათ.ლარი) სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი 100 %-ით (დამტკიცებული 80 ათ.ლარი, დაზუსტებული 18.2 ათ.ლარი, საკასო შესრულება 18.2 ათ.ლარი) და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის შემოსავლების გეგმა 100%-ით (დამტკიცებული 30 ათ.ლარი, დაზუსტებული 68.7 ათ.ლარი, საკასო შესრულება 68.7 ათ.ლარი).

მისაღები გრანტების დაზუსტებული გეგმა შერულდა 100%-ით (დამტკიცებული 1343.4 ათ.ლარი, დაზუსტებული 2006.5 ათ.ლარი, საკასო შესრულება 2006.5 ათ.ლარი), მათ შორის: გამოთანაბრებითი ტრანსფერის გეგმა შესრულდა 100%-ით (დამტკიცებული, დაზუსტებული და საკასო შესრულება 861.0 ათ.ლარი) მიზნობრივი ტრანსფერის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 100%-ით დამტკიცებული, დაზუსტებული და საკასო შესრულება 200 ათ.ლარი) სპეციალური ტრანსფერის 100%-ით (დამტკიცებული 282.4 ათ.ლარი, დაზუსტებული და საკასო შესრულება 945.5 ათ.ლარი)

სხვა შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 100%-ით (დამტკიცებული 183 ათ.ლარი, დაზუსტებული 212.6 ათ.ლარი, საკასო შესრულება 212.6 ათ.ლარი), მათ შორის: მოსაკრებელის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გეგმა შესრულდა 100%-ით (დამტკიცებული 145 ათ.ლარი, დაზუსტებული და საკასო შესრულება 145.7 ათ.ლარი).

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავლები 100 %-ით (დამტკიცებული 25 ათ.ლარი, დაზუსტებული 60.5 ათ.ლარი, საკასო შესრულება 60.5 ათ.ლარი).

ე.ი როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს 2009 წლის განმავლობაში საკასო შემოსავლები ბიუჯეტით დამტკიცებულთან შედარებით შემცირდა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შემოსავლების მუხლში 61.8 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ს.ს „ზღვიადან“ დაგეგმილი თანხა ვერ იქნა მიღებული. 2009 წელს სხვადასხვა გრემოებების გამო მიღებული შემოსავლი დამტკიცებულთან შედარებით 1663 ათ.ლარით მეტია, რაც გამოწვეულია შ.პ.ს ენგურჰესიდან მიღებული 2006 წელს რესტრუქტურისებული თანხით. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შემოსავალმა შეადგინა 68.7 ათ.ლარი, რაც დამტკიცებულთან შედარებით 20 ათ.ლარი) 48.7 ათ.ლარით მეტია. -რაც გამოწვეულ იქნა იმ გარემოებით, რონ დაგეგმილზე ზევით მიღებულ იქნა შ.პ.ს »კოლხეთი 2000 «-საგან 22052 ლარი და შპს „საქართველოს რკინიგზიდან“ 16648 ლარი.

დაზუსტებული ხარჯების გეგმა შესრულებულ იქნა 94.6 %-ით (გეგმა 5835.2 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 5525.1 ათ.ლარი), ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების დაზუსტებული გეგმა შრომის ანაზღაურების მუხლში შერულდა 100 %-ით (გეგმა 952.8 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 952.8 ათ.ლარი), საქონელი და მომსახურეობის გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 502.7 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 502.7 ათ.ლარი), სუბსიდიების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 1481 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 1481 ათ.ლარი), სოც. უზრუნველყოფის გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 274.6 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 274.6 ათ.ლარი), სხვა ხარჯების გეგმა 100 %-ით (გეგმა 36 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 36 ათ. ლარი), არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გეგმა შესრულდა 88 %-ით (გეგმა 2588.1 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 2278 ათ. ლარი).

2009 წელს საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობა შეადგენდა 150 ერთეულს. რზიდან დარიცხობა ხილავსის სახით 952.8 ათ.ლარი.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად არის განაწილებული: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 1487.6 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 1487.6 ათ.ლარი), აქედან მუხლობრივად: შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 758.9 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 758.9 ათ.ლარი), საქონელი და მომსახურეობის ხარჯები 100 %-ით (გეგმა 411.3 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 411.3 ათ.ლარი), სუბსიდიების ხარჯები 100 %-ით (გეგმა 19 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 19 ათ.ლარი), სხვა ხარჯების გეგმა 100 %-ით (გეგმა 11.3 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 11.3 ათ.ლარი), არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 100 %-ით (გეგმა 287.1 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 287.1 ათ.ლარი), შესაბამისად 100-100 % იქნა დაფინანსებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს (გეგმა 269.8 ათ.ლარი, საკასო შესრულება 269.8 ათ. ლარი).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 1132.9 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 1132.9 ათ.ლარი), აქედან: მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის (გეგმა 405.6 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 405.6 ათ.ლარი), მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სასმსახური (გეგმა 73.3 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 73.3 ათ.ლარი), წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სასმსახური (გეგმა 70.7 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 70.7 ათ.ლარი), მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, რელიგიის და ძეგთა დაცვის სასმსახური (გეგმა 44.1 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 44.1 ათ.ლარი), მუნიციპალიტეტის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოც.დაცვის, ვეტერანთა, ღტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის (გეგმა 43.9 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 43.9 ათ.ლარი), მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების სასმსახური (გეგმა 495.3 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 495.3 ათ.ლარი).

სარეზერვო ფონდის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (დამტკიცებული გეგმა 34.6 ათ. ლარი, საკასო შესრულება 34.6 ათ. ლარი), საქართველოს ოგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 51-ის მე-2-4-ე პუნქტის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას სარეზერვო ფონდი გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების დაფინანსების მიზნით, სარეზერვო ფონდის ოდენობა განსაზღვრულია მთლიანი შემოსავლების 2%-დან.

სარეზერვო ფონდიდან სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარემონტო სამუშაოებზე მიმართულ იქნა 8666ლარი და ფრცხო-ეწერის სახლის გადახურვაზე(სტიქია) 25895 ლარი.

არქივის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 30.3 ათ.ლარი, საკასო ხარჯები 30.3 ათ.ლარი.) მაჟორიტარი დეპუტატის ხარჯების გეგმა 100%-ით (გეგმა 20 ათ.ლარი,საკასო ხარჯები 20 ათ.ლარი),

ადგილობრივი თვითმმართველობის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით. (გეგმა 221 ათ.ლარი, საკასო შესრულება 221 ათ.ლარი), აქედან: მუხლობრივად: შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 187 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 187 ათ.ლარი), საქონელი და მომსახურეობა გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 37.5 ათ.ლარი, ხარჯი 37.5 ათ.ლარი), არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 100 %-ით. (გეგმა 34 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 34 ათ.ლარი).

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით. (გეგმა 127.8 ათ.ლარი, საკასო შესრულება 127.8 ათ.ლარი), აქედან მუხლობრივად: სუბსიდიების გეგმა შესრულდა 100%-ით

(გეგმა 77.2 ათ.ლარი, ხარჯი 77.2 ათ.ლარი), არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 100 %-ით. (გეგმა 50.6 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 50.6 ათ.ლარი).

თავდაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (დაზუსტებული 76.2 ათ.ლარი, საკასო შესრულება 76.2 ათ.ლარი), თავდაცვის ხარჯები მთლიანად სამხედრო განყოფილებაზეა გაწეული, აქედან მუხლობრივად: შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 44.4 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 44.4 ათ.ლარი), საქონელი და მოსახურეობის ხარჯების 100%-ით (გეგმა 31.8 ათ.ლარი, ხარჯი 31.8 ათ.ლარი).

ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების გეგმა შესრულდა 88.8 %-ით (გეგმა 1920.9 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 1898.8 ათ.ლარი), მათ შორის: საქონელი და მოსახურეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 22.1 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 22.1 ათ.ლარი), სუბსიდიების ხარჯების გეგმა 100 %-ით (გეგმა 391.1 ათ. ლარი, შესრულება 391.1 ათ.ლარი), არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 1507.7 ათ. ლარი, საკასო 1507.7 ათ. ლარი), აქედან გზების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 767.6 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 767.6 ათ.ლარი), სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების გეგმა 100 %-ით (გეგმა 115 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 115 ათ.ლარი), წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 223 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 223 ათ.ლარი), საკანალიზაციო სისტემის მოცულობა რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 144.8 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 144.8 ათ.ლარი), ჯილეხის გაქცინაციისა და ამერიკული პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 3.9 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 3.9 ათ.ლარი), გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 145.8 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 145.8 ათ.ლარი), დასუფთავების ღონისძიებების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 336.3 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 336.3 ათ.ლარი), საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეპტილმოწყობის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 162.4 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 162.4 ათ.ლარი), გვარჯილის ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 22.1 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 22.1 ათ.ლარი).

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების გეგმა შესრულდა 70.5%-ით (გეგმა 1053.3 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 743.2 ათ.ლარი), დამტკიცებული გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია ლიის და მედანის თემების სკოლების სარემონტო სამუშაოების გადადება 2010 წლამდე, მუხლობრივად: სუბსიდიების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 453.6 ათ.ლარი, საკასო 453.6 ათ.ლარი). სხვა ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 24.7 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 24.7 ათ.ლარი), არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების გეგმა შესრულდა 46.7%-ით (გეგმა 575.2 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 269.1 ათ.ლარი), აქედან: საჯარო სკოლის დაფინანსების ხარჯების გეგმა შესრულდა 48.3% ით (გეგმა 599.9 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 289.8 ათ.ლარი).

სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 673.8 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 673.8 ათ.ლარი), მუხლობრივად სუბსიდიების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 540.3 ათ. ლარი, საკასო 540.3 ათ.ლარი). არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 133.5 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 133.5 ათ.ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების გეგმა შესრულდა 100%-ით

წლის განმავლობაში რაიონის სხვადასხვა საწარმოების მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობასთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებულია 2307.9 ათ.ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით შესრულებულია 927868 ლარის სამუშაოები, აქედან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაიხარჯა 282486 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 1380055 ლარი. სამუშაოები შესრულებულია სხვადასხვა სამშენებლო საწარმოების მიერ. ფასთა კოტირების მეთოდით შესრულებულ იქნა ზღვაიას სკოლის რემონტის სამუშაოები. ხოლო დანარჩენი სამუშაოები შესრულდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. ყველა შესრულებულ სამუშაოზე წარმოდგენილია ხარჯთაღრიცხვები, შესრულებული სამუშაოთა აქტები, სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც შედგენილია რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 10 თებერვლის № 73 განკარგულებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ რომლის მოვალეობაში შედის შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების, ხარისხის შემოწმება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა და წარდგენა გამგეობაში, ასევე თან ერთვის ზუგდიდის რეგიონალური საავტორო სამრეწველო პალატის შპს „ზუგდიდექსპერტიზის“ დასკვნა.

შემოწმებულ იქნა თვითმმართველობისა და წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ გაწეული ხარჯების კანონიერება. ხარჯები ჩამოწერილია სათანადო ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონთან შესაბამისობაში.

შპს „აუდიტ-ეხტრა“-ს

აუდიტორი:

/სოსო ზარქუა/

დირექტორი:

/ლევან ზარქუა/

